

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2012 წლის 8 თებერვლის სხდომის

ოქმი №2

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 25 წევრიდან, ესწრებოდა 21. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

**სპიკერი:** დღის წესრიგს დავუმატეთ ერთი საკითხი, ეს გახლავთ უფლებამოსილების ცნობა ბატონი ვაჟა პაპასკირისა, რომელიც არჩეულია ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად. მინდა მივულოცო მას დაკავებული თანამდებობა. შეიძლება ითქვას: საქართველოში რომ ერთ-ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ვაჟას.

**კენჭისყრის შედეგად სენატმა ცნო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის უფლებამოსილება.**

**ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 8 თებერვლის №2 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორის პროფ. ვაჟა პაპასკირის სტუ-ს სენატის წევრობის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

*სენატმა გადაწყვიტა, ცნობილი იქნეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორის პროფ. ვაჟა პაპასკირის სტუ-ს სენატის წევრობის უფლებამოსილება.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სენატის რეგლამენტის პროექტის განხილვა და დამტკიცება – მომხსენებელი სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

**სპიკერი:** სენატის წევრებს ელექტრონული სახით გადმოგეგზავნათ რეგლამენტის პროექტი, რომელსაც თქვენ უკვე გაეცანით და თუ რაიმე შენიშვნები გაქვთ, მზად ვარ მოვისმინოთ.

**პროფ. მზია მილაშვილი:** კარგი იქნება თუ მეხუთე მუხლში დაემატება სენატის წევრთა საკონტაქტო ინფორმაცია, კერძოდ: ოთახი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული მისამართები.

**სპიკერი:** გეათნხმებით ქალბატონო მზია, ელექტრონული მისამართი აუცილებელია და გავითვალისწინებთ.

**პროფ. მზია მილაშვილი:** ასევე, 2.2 მუხლთან დაკავშირებით მაქვს კითხვა, რომელშიც წერია, რომ არჩევნების ჩატარების წესი განისაზღვრება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებით (შემდგომში – არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება). მაინტერესებს, დევს თუ არა საიტზე დებულება, შევიდა თუ არა მასში სათანადო ცვლილებები მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა შეიცვალა იურიდიული სტატუსი?

**სპიკერი:** ჩვენ როდესაც დავამტკიცეთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალი წესდება, იმავე დროს შემუშავებულ იქნა მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) დებულება, რომელიც სრულ შესაბამისობაშია წესდებასთან და საქართველოს კანონთან „უმაღლესი განათლების შესახებ“. რა თქმა უნდა, დებულება დევს საიტზე და შეგიძლიათ ნახოთ.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ჩემი აზრით რეგლამენტი მაღალ დონეზეა შესრულებული, მაგრამ ერთი შენიშვნა მაქვს სენატის უფლებამოსილების

სფეროს გ) პუნქტან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ სტრუქტურასათან ერთად საშტატო განრიგიც უნდა დაამტკიცოს სენატმა აკადემიურ საბჭოსთან ერთად.

**სპიკერი:** ჩვენ ცვლილება შევიტანეთ წესდებაში, რომ საშტატო განრიგს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უთანხმებს რექტორს.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ბატონო ჯემალ, უმჯობესი იქნება, რომ სენატის უფლებამოსილების სფეროს ე) პუნქტში, გავაკეთოთ შემდეგი სახით ჩასწორება: წერლიწადში ერთხელ სენატი ისმენს მენეჯერის ანგარიშს ფაკულტეტის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

**სპიკერი:** თქვენი შენიშვნა მიღებულია, ბატონო დავით.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.**

## გ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 8 თებერვლის №2 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სენატის რეგლამენტის პროექტის განხილვისა და დამტკიცების შესახებ.

*სენატის წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს სენატის რეგლამენტი.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სენატის მდივნის არჩევა – მომსენებელი სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

**სპიკერი:** წარმოგიდგენთ საკითხს სენატის მდივნის არჩევის შესახებ, მოგესხენებათ, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გახლდათ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტი თამარ ბუზიაშვილი, და ჩემი წინადადება იქნება, რომ ისევ თამარი ავირჩიოთ სენატის მდივად.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. კენჭისყრის შედეგად სენატის მდივნად არჩეულ იქნა თამარ ბუზიაშვილი.**

## გ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 8 თებერვლის №2 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სენატის მდივნის არჩევის შესახებ.

*სენატის წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საკითხი სტუ-ს სენატის მდივნად თამარ ბუზიაშვილის არჩევის შესახებ.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს „გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №598 – მომხსენებელი პროფ. რუსუდან ქუთათელაძე;

პროფ. რუსუდან ქუთათელაძე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იქმნება „გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრი“, რომელიც მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით და შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე შეკვეთებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

#### ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 8 თებერვლის №2 სხდომაზე პროფ. რუსუდან ქუთათელაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 თებერვლის დადგენილება №598.

*სენატის წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს „გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრის“ შექმნის საკითხი. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან „საშემდუღებლო მასალების წარმოებისა და ექსპერტიზის საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების



წლის 28 დეკემბრის სენატის №19 სხდომაზე დამტკიცებულ სტუ-ს ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს, ესენი გახლავთ:

1. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლებიდან ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 13 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლში, სატრანსპორტო საშუალების შესაძენად, ხოლო 12 000 ლარი – მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში.

2. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სამედიცინო ხარჯების მუხლის სამედიცინო დანიშნულების მასალებისა და ინსტრუმენტების შეძენის ხარჯებიდან 540 ლარი გადატანილ იქნეს სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის და სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის ხარჯების მუხლში.

3. პრეზიდენტის სტიპენდიების “ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს” დაფინანსების პროგრამის ფარგლებში სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდოს 77 100 ლარით.

4. სტუ-ს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, სუბსიდიების მუხლიდან 30 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის პრემირების პუნქტში.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.**

## **ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 8 თებერვლის №2 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

*სენატის წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები, კერძოდ:*

1. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლებიდან ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 13 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლში, სატრანსპორტო საშუალების შესაძენად, ხოლო 12 000 ლარი – მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში.

2. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სამედიცინო ხარჯების მუხლის სამედიცინო დანიშნულების მასალებისა და ინსტრუმენტების შეძენის ხარჯებიდან 540 ლარი გადატანილ იქნეს სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის და სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის ხარჯების მუხლში.

3. პრეზიდენტის სტიპენდიების “ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს” დაფინანსების პროგრამის ფარგლებში სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდოს 77 100 ლარით.

4. სტუ-ს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, სუბსიდიების მუხლიდან 30 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის პრემირების პუნქტში.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ასევე, წარმოგიდგენთ საკითხს ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდში 2 000 ლარის გადარიცხვის შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 8 თებერვლის №2 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდში 2 000 ლარის გადარიცხვის შესახებ.

სენატის წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საკითხი ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდში 2 000 ლარის გადარიცხვის შესახებ.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს უძრავი ქონების იჯარით გადაცემის შესახებ, კერძოდ, ვედინგ მანქანების განსათავსებლად, სტუ-ს სარგებლობაში არსებული ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონების ორი წლის ვადით იჯარით გადაცემის თაობაზე.

- კოსტავას ქ. №68-ში მდებარე I სასწავლო კორპუსი – 5 კვ.მ;

- კოსტავას ქ. №67-ში მდებარე II სასწავლო კორპუსი – 2 კვ.მ;
- კოსტავას ქ. №77-ში მდებარე IV სასწავლო კორპუსი – 1 კვ.მ;
- კოსტავას ქ. №77-ში მდებარე VI სასწავლო კორპუსი – 4 კვ.მ;
- კოსტავას ქ. №77-ში მდებარე VIII სასწავლო კორპუსი – 3 კვ.მ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა ო ყ მ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 8 თებერვლის №2 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი უძრავი ქონების იჯარით გადაცემის შესახებ.

*სენატის წევრთა გადაწყვეტილებით, თანხმობა მიეცა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ე.წ. ვედინგ მანქანების განსათავსებლად, სტუ-ს სარგებლობაში არსებული ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონების, ორი წლის ვადით იჯარით გადაცემის შესახებ.*

- კოსტავას ქ. №68-ში მდებარე I სასწავლო კორპუსი – 5 კვ.მ;
- კოსტავას ქ. №67-ში მდებარე II სასწავლო კორპუსი – 2 კვ.მ;
- კოსტავას ქ. №77-ში მდებარე IV სასწავლო კორპუსი – 1 კვ.მ;
- კოსტავას ქ. №77-ში მდებარე VI სასწავლო კორპუსი – 4 კვ.მ;
- კოსტავას ქ. №77-ში მდებარე VIII სასწავლო კორპუსი – 3 კვ.მ.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინო კიდევ ერთ საკითხს. მოიჯარეებისთვის: შპს „მრეწველობის განვითარება კავკასიაში“ და შპს „მეგატრონი“ საიჯარო დავალიანების გადახდის გადავადების შესახებ.

გაცნობებთ, რომ სტუ-ს მოიჯარეებს: შპს „მრეწველობის განვითარება კავკასიაში“ (დირექტორი ვ.მამალაძე), რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსის (თბილისი, კოსტავას 68) I სართულზე, 272.83 მ.კვ.ფართზე, დაუგროვდა გასული წლის დავალიანება 11485 ლარის ოდენობით (მათ შორის საურავი 1019 ლარი), და შპს „მეგატრონს“ (დირექტორი ნ.მუსერიძე), რომელიც ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსის (თბილისი, კოსტავას 68) I სართულზე, 107.52 მ.კვ.ფართზე, დაუგროვდა დავალიანება



36.679 ლარის ოდენობით (მათ შორის საურავი 2206 ლარი). ორივე მოიჯარის დირექტორმა მოგვმართა თხოვნით, რომ ხელშეკრულების მხარეთა შორის მიღწეულ იქნეს კონსესუსი და დაერთოთ ნება საიჯარო ქირის დავალიანების გადახდა განახორცილონ მათივე წერილში შემოთავაზებული გრაფიკით.

**სპიკერი:** ამ საკითხთან დაკავშირებით სენატის გადაწყვეტილება ასეთია, რომ მოიჯარეებს გაუკეთოთ თანხის დაფარვის ყოველთვიური გრაფიკი, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მათ აღმოუჩნდებათ ორი დარღვევა, შეუწყდებათ ხელშეკრულება.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.**

### **ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 8 თებერვლის №2 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი მოიჯარეებისთვის: შპს "მრეწველობის განვითარება კავკასიაში" და შპს "მეგატრონი" საიჯარო დავალიანების გადახდის გადავადების შესახებ.

**სენატმა გადაწყვიტა:** აღნიშნულ მოიჯარეებს დაუდგინდეთ დავალიანების დაფარვის ყოველთვიური გრაფიკი ერთი წლის განმავლობაში და იმ შემთხვევაში თუ ორჯერ მოხდება ამ გრაფიკით გათვალისწინებული პირობის დარღვევა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დაუყოვნებლივ შეუწყვიტოს მათ ხელშეკრულება.

**სპიკერი:** მაქვს წინადადება იმასთან დაკავშირებით, რომ დამტკიცდა ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალი წესდება და „ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულება, დავავალოთ იურიდიულ დეპარტამენტს სტუ-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებების შესაბამისობაში მოყვანა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და სტუ-ს წესდებასთან.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.**

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 8 თებერვლის №2 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებების შესახებ.

*სენატის წევრთა გადაწყვეტილებით, სტუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს დაევალა სტუ-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებების შესაბამისობაში მოყვანა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და სტუ-ს წესდებასთან.*

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი